

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის დადგენილება № 26

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №4
“მაგისტრატურის შესახებ”, პუნქტი 9.2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.2. გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

- ა) საუკეთესო - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველ მხრივ აღემატება;
- გ) კარგი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს.
- ზ) ცუდი - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №4
“მაგისტრატურის შესახებ”, პარაგრაფი 10 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 10. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა/დიპლომი.
- 10.1 მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ მოწმობას/დიპლომს გასცემს ტექნიკური უნივერსიტეტი
- 10.2 მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობა/დიპლომი არის ორი კატეგორიის (წარჩინების, ჩვეულებრივი)
- 10.3 წარჩინების დიპლომი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრის მიერ 120 კრედიტის ათვისებისას მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული შეადგენს 91-100 ქულას (სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად), ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება არის “საუკეთესო” ან “ძალიან კარგი” (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №4 “მაგისტრატურის შესახებ”, პარაგრაფი 9.2-ის შესაბამისად).
- 10.4 ჩვეულებრივი დიპლომი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრის მიერ 120 კრედიტის ათვისებისას მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული შეადგენს 51-91 ქულას (სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად), ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასება არის “არადამაკმაყოფილებელი” და “ცუდი”-ს გარდა ნებისმიერი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №4 “მაგისტრატურის შესახებ”, პარაგრაფი 9.2-ის შესაბამისად).

რექტორი
პროფესორი,

აკადემიური საბჭოს მდივანი
პროფესორი,

ა. მოწონელიძე

ბ. სალუქვაძე